



შპს „ჭრელი აბანო“ და მისი შვილობილი კომპანია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
---------------------------------	-----

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

1. კორპორაციული ინფორმაცია.....	8
2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	17
4. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები.....	18
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები.....	18
6. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები.....	20
7. აქტივი გამოყენების უფლებით.....	21
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
9. მარაგები	21
10. საგადასახადო ვალდებულება წმინდა	21
11. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
12. კაპიტალი.....	22
13. მიღებული სესხები.....	22
14. სავაჭრო ვალდებულებები	23
15. ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულება	23
16. ამონაგები.....	23
17. რეალიზაციის ღირებულება	24
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	24
19. საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა	24
20. მოგების გადასახადი	25
21. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	25
22. ფინანსური რისკის მართვა	26
23. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	28
24. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები	28
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჭრელი აბანო“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას.

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „ჭრელი აბანო“-ს და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესსს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია - ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედნილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და სხვა ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს ნექსია ჯორჯია (SARAS-F-550338)

28 ივნისი, 2024 წელი

თბილისი, საქართველო

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისი ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და სხვა ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი მოსაზრებით, ჩვენი აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე დაყრდნობით, კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედნილია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის ჯგუფის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

გელა მღებრიშვილი, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-965518)

შპს ნექსია ჯორჯია (SARAS-F-550338)

28 ივნისი, 2024 წელი

თბილისი, საქართველო



შპს „ჭრელი აბანო“ და მისი შვილობილი კომპანია
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	13,364,527	11,829,032
აქტივი გამოყენების უფლებით	7	76,310	93,493
არამატერიალური აქტივები	6	91,570	106,290
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,532,407	12,028,815
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	162,184	87,367
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	38,745	497,075
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	272,755	996,839
სულ მოკლევადიანი აქტივები		473,684	1,581,281
სულ აქტივები		14,006,091	13,610,096
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	100,141	1,691,719
გაუნაწილებელი მოგება		13,320,220	10,450,740
არამაკონტრილებელი წილი		73,685	36,720
სულ კაპიტალი		13,494,046	12,179,179
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულება	15	123,967	133,189
სულ გრძელვადიანი სესხები		123,967	133,189
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულება	15	34,763	22,130
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	10	71,048	33,116
მიღებული სესხები	13	-	945,693
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	282,267	296,789
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		388,078	1,297,728
სულ ვალდებულებები		512,045	1,430,917
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,006,091	13,610,096

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 28 ივნისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

თეიმურაზ მამაცაშვილი
დირექტორი

ევგენია დიაჩენკო
მთავარი ბუღალტერი

8-29 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჭრელი აბანო“ და მისი შვილობილი კომპანია
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	13,364,527	11,829,032
აქტივი გამოყენების უფლებით	7	76,310	93,493
არამატერიალური აქტივები	6	91,570	106,290
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,532,407	12,028,815
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	9	162,184	87,367
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	38,745	497,075
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	272,755	996,839
სულ მოკლევადიანი აქტივები		473,684	1,581,281
სულ აქტივები		14,006,091	13,610,096
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	100,141	1,691,719
გაუნაწილებელი მოგება		13,320,220	10,450,740
არამაკონტრილებელი წილი		73,685	36,720
სულ კაპიტალი		13,494,046	12,179,179
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულება	15	123,967	133,189
სულ გრძელვადიანი სესხები		123,967	133,189
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულება	15	34,763	22,130
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	10	71,048	33,116
მიღებული სესხები	13	-	945,693
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	282,267	296,789
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		388,078	1,297,728
სულ ვალდებულებები		512,045	1,430,917
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,006,091	13,610,096

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 28 ივნისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

თეიმურაზ მამაცაშვილი
 დირექტორი

ეკატერინა დარენკო
 მთავარი ბუღალტერი

8-29 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჭრელი აბანო“ და მისი შვილობილი კომპანია

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	16	5,969,846	4,792,183
რეალიზაციის ღირებულება	17	(1,793,904)	(1,410,819)
საერთო მოგება		4,175,942	3,381,364
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	18	(1,187,388)	(736,693)
საკუროს სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა		18,142	140,731
ფინანსური ხარჯი	13, 15	(16,118)	(35,900)
არასაოპერაციო ხარჯი		(8,169)	(19,438)
მოგება დაბეგვრამდე		2,982,409	2,730,064
მოგების გადასახადი	20	(15,007)	(14,152)
წლის წმინდა მოგება		2,967,402	2,715,912
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		2,967,402	2,715,912
ჯგუფის მფლობელთა წილი		2,869,480	2,632,835
არამაკონტროლებელი წილი		97,922	83,077

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 28 ივნისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

თეიმურაზ მამაცაშვილი
დირექტორი

ევგენია დიაჩენკო
მთავარი ბუღალტერი

შპს „ჭრელი აბანო“ და მისი შვილობილი კომპანია
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	16	5,969,846	4,792,183
რეალიზაციის ღირებულება	17	(1,793,904)	(1,410,819)
საერთო მოგება		4,175,942	3,381,364
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	18	(1,187,388)	(736,693)
საკუროს სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა		18,142	140,731
ფინანსური ხარჯი	13, 15	(16,118)	(35,900)
არასაოპერაციო ხარჯი		(8,169)	(19,438)
მოგება დაბეგრამდე		2,982,409	2,730,064
მოგების გადასახადი	20	(15,007)	(14,152)
წლის წმინდა მოგება		2,967,402	2,715,912
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		2,967,402	2,715,912
ჯგუფის მფლობელთა წილი		2,869,480	2,632,835
არამაკონტროლებელი წილი		97,922	83,077

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 28 ივნისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

თეიმურაზ მამაცაშვილი
 დირექტორი

გვანია დიაჩენკო
 მთავარი ბუღალტერი



8-29 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჭრელი აბანო“ და მისი შვილობილი კომპანია
 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ
31 დეკემბერი 2021	1,691,719	7,817,905	48,499	9,558,123
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,632,835	83,077	2,715,912
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(94,856)	(94,856)
31 დეკემბერი 2022	1,691,719	10,450,740	36,720	12,179,179
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,869,480	97,922	2,967,402
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(1,591,578)	-	-	(1,591,578)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(60,957)	(60,957)
31 დეკემბერი 2023	100,141	13,320,220	73,685	13,494,046

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 28 ივნისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

თეიმურაზ მამაცაშვილი
 დირექტორი

ევგენია დიაჩენკო
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ჭრელი აბანო“ და მისი შვილობილი კომპანია
 კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტროლებელი წილი	სულ
31 დეკემბერი 2021	1,691,719	7,817,905	48,499	9,558,123
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,632,835	83,077	2,715,912
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(94,856)	(94,856)
31 დეკემბერი 2022	1,691,719	10,450,740	36,720	12,179,179
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,869,480	97,922	2,967,402
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(1,591,578)	-	-	(1,591,578)
გამოცხადებული დივიდენდი	-	-	(60,957)	(60,957)
31 დეკემბერი 2023	100,141	13,320,220	73,685	13,494,046

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 28 ივნისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

თეიმურაზ მამაცაშვილი
 დირექტორი

გვანია დიაჩენკო
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ქრელი აბანო“ და მისი შვილობილი კომპანია
 ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		2,982,409	2,730,064
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 7	288,711	250,839
საკუროს სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა		(18,142)	(140,731)
ფინანსური ხარჯი	13	-	17,798
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	6	8,168	19,246
ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯი	15	16,118	18,102
ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		3,277,264	2,895,318
სამუშაო კაპიტალში ცვლილებებამდე:			
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ზრდა მარაგებში	9	(74,817)	(11,846)
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	8	458,684	(417,299)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში, წმინდა	10	37,932	(3,229)
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება	14	(14,418)	2,418
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების შემოდინება		3,684,645	2,465,362
გადახდილი პროცენტი საიჯარო ვალდებულებებზე	15	(16,118)	(18,102)
გადახდილი სესხის პროცენტი	13	-	(37,997)
გადახდილი მოგების გადასახადი	20	(15,007)	(14,152)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		3,653,520	2,395,111
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(1,777,668)	(1,663,583)
კაპიტალის შემცირება		(1,591,577)	-
წმინდა ფულადი გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,369,245)	(1,663,583)
ფინანსური საქმიანობა			
გადახდილი დივიდენდი		(60,957)	(94,856)
გადახდილი საიჯარო თანხის ძირი	15	(19,270)	(31,895)
სესხების დაფარვა	13	(927,153)	(557,630)
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საფინანსო საქმიანობაში		(1,007,380)	(684,381)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)		(723,105)	47,147
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფული და ფულის ეკვივალენტზე		(979)	(33,756)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	996,839	983,448
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		272,755	996,839

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 28 ივნისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

თეიმურაზ მამაცაშვილი
 დირექტორი

ევგენია დიაჩენკო
 მთავარი ბუღალტერი

8-29 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ქრელი აბანო“ და მისი შვილობილი კომპანია
 ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგრამდე		2,982,409	2,730,064
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6, 7	288,711	250,839
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა		(18,142)	(140,731)
ფინანსური ხარჯი	13	-	17,798
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	6	8,168	19,246
ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯი	15	16,118	18,102
ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		3,277,264	2,895,318
სამუშაო კაპიტალში ცვლილებებამდე:			
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:			
ზრდა მარაგებში	9	(74,817)	(11,846)
შემცირება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	8	458,684	(417,299)
ზრდა/(შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში, წმინდა	10	37,932	(3,229)
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება	14	(14,418)	2,418
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების შემოდინება		3,684,645	2,465,362
გადახდილი პროცენტი საიჯარო ვალდებულებებზე	15	(16,118)	(18,102)
გადახდილი სესხის პროცენტი	13	-	(37,997)
გადახდილი მოგების გადასახადი	20	(15,007)	(14,152)
წმინდა ფულადი ნაკადების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან		3,653,520	2,395,111
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(1,777,668)	(1,663,583)
კაპიტალის შემცირება		(1,591,577)	-
წმინდა ფულადი გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან		(3,369,245)	(1,663,583)
ფინანსური საქმიანობა			
გადახდილი დივიდენდი		(60,957)	(94,856)
გადახდილი საიჯარო თანხის ძირი	15	(19,270)	(31,895)
სესხების დაფარვა	13	(927,153)	(557,630)
წმინდა ფულადი ნაკადების გადინება საფინანსო საქმიანობაში		(1,007,380)	(684,381)
წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)		(723,105)	47,147
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფული და ფულის ეკვივალენტზე		(979)	(33,756)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	996,839	983,448
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		272,755	996,839

გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 28 ივნისს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

თეიმურაზ მამაცაშვილი
 დირექტორი

ვსლენი დიაჩენკო
 დირექტორი

8-29 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

1. კორპორაციული ინფორმაცია

ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „ჭრელი აბანო“ (შემდგომში - „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2008 წლის 5 მაისს დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, აბანოს ქ. №2.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მის 50%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანიის შპს „გოგირდის წყლების“ (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“) ფინანსურ ანგარიშგებებს.

ჯგუფი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას: აბანოების მოწყობა, მოსახლეობისათვის სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მომსახურების გაწევა, თერმული წყლების გაყიდვა.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საბოლოო მფლობელთა სტრუქტურა ასეთია:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
თეიმურაზ მამაცაშვილი	50%	50%
შპს რეალ ისთეით გრუპ	25%	25%
შპს „ჩემექსიმ ინტერნეიშნალ“	10%	10%
მანანა ციხელაშვილი	15%	15%
	100%	100%

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

ჯგუფმა მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ჯგუფმა მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ამ განსჯის დროს ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა ჯგუფის მიმდინარე მდგომარეობა და მიზნები, მომავალი მომგებიანობისთვის გაწეული ინვესტიციები და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე წვდომა, რაც საშუალებას მისცემს ჯგუფს განაგრძოს ფუნქციონირება მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

კონსოლიდაციის საფუძველი

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფში შედიოდა შემდეგი კომპანია, რომელსაც ჯგუფი აკონტროლებს:

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სფერო	წილი (%)	ქვეყანა	ინვესტიცია
შპს „გოგირდის წყლები“	გოგირდის წყლის მოპოვება და რეალიზაცია	50%	საქართველო	შვილობილი

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკუროსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844

შეფასების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 კალენდარულ წელს: 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით.

ამონაგები

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ ეტაპიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. ჯგუფი მთლიან სახელშეკრულებო ფასს თითოეულ შესასრულებელ მოვალეობაზე ანაწილებს მათი ინდივიდუალური გასაყიდი ფასის მიხედვით.

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, იმპორტის მოსაკრებლებს, არადაბრუნებად შესყიდვის გადასახადებსა და სხვა ხარჯებს რომლების პირდაპირ მიკუთვნებაცაა შესაძლებელი.

ძირითადი საშუალების იმ კომპონენტის ჩანაცვლების დანახარჯები, რომელიც აღიარებულია განცალკევებულად, კაპიტალიზდება ჩამოწერილი აქტივის საბალანსო ღირებულების სანაცვლოდ. სხვა შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მომავალში მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს გაწეული ხარჯების სანაცვლოდ. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება ხარჯად საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების გასვლისას, სხვაობა მიღებულ წმინდა ანაზღაურებასა და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება მოგება ზარალში - „ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული მოგება(ზარალის)“ სახით.

ცვეთა

ცვეთა ერიცხება აქტივებს, რათა განაწილდეს მათი ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს წრფივი მეთოდით ცვეთის ხარჯის დარიცხვას სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
მიწა	განუსაზღვრელი მომსახურების ვადა
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება
შენობა	40-50 წელი
მანქანა-დანადგარები	3-20 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5-20 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7 წელი

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც ჯგუფი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ჯგუფი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი,

კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, ხელშეკრულება საიჯაროა თუ შეიცავს იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ თვითღირებულებით უნდა აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება შეფასებული იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარემ უნდა გამოიყენოს მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების პერიოდების გათვალისწინებით თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გააგრძელებს ან ვადაზე ადრე არ შეწყვეტს იჯარას.

საოპერაციო იჯარად განიხილება იჯარა რომლის შემთხვევაშიც აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკი და ეკონომიური სარგებელი გადაცემა არ ხდება მოიჯარეზე. საპირისპირო შემთხვევაში იჯარა განიხილება როგორც ფინანსური იჯარა. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი სახდელები აისახება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით იჯარის მთელი პერიოდის მიხედვით. ფინანსური იჯარის შემთხვევაში აქტივების კაპიტალიზაცია ხდება მოიჯარესთან, აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალურ საიჯარო გადასახადების მიმდინარე ღირებულების უმცირესი თანხით.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება წარმოდგენილი იქნას სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიის

ყველა ფინანსური აქტივი წარმოდგენილია კლასიფიკაციით - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი ძირითადად წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს.

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დავიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ყველა გაყიდვა წარმოებს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე გარემოება რაც ეჭვ ქვეშ აყენებს მათ დაფარვას. აღმოჩენის შემთხვევაში, გაუფასურების დანახარჯები აღიარდება მოგება-ზარალში.

ჯგუფი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული სესხების გაუფასურების გაანგარიშებისას იყენებს გამარტივებულ მიდგომას ფასს 9-ის შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ გაუფასურდება ინდივიდუალურად, ჯგუფი მათ გაუფასურებას განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია დავალიანების ამოღების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე,

პორტფელში დაგვიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 – 60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181 – 360 დღე	360 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან სავაჭრო დავალიანების საექვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს. დეტალები კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივების და საკრედიტო რისკთან დაკავშირებით მოცემულია 17-ე შენიშვნაში.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

საწარმომ ფინანსური ვალდებულება (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ამოიღოს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას მომწოდებლისაგან მიღებული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი თანხები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება. ბოლო დროს, სავაჭრო ვალდებულებების ყველა ჯგუფი მოსალოდნელია რომ დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდიდან ერთ წელზე ნაკლებ დროში და კლასიფიცირებულია როგორც მოკლევადიანი ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიან ღირებულებას დამატებული ტრანზაქციის დანახარჯები (შეიცავს ტრანზაქციის დანახარჯებს). სავაჭრო ვალდებულებები ეფუძნება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებს და არ ერიცხებათ პროცენტი, ვალდებულებები, რომელსაც პროცენტი ერიცხება, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთჩათვლას ახორციელებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი აპირებს ანგარიშსწორება განახორციელოს ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი ამონაგები. მარაგები ჩამოიწერება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებას და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანუღირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

ხარჯების აღიარება

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც არაა დაკავშირებული მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში თუ გაწეული ხარჯი არ იწვევს სამომავლო სარგებლის მოტანას ან სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი იმ საანგარიშგებო პერიოდის ხარჯად აღიარდება, რომლის განმავლობაშიც ჯუფი იღებს მომსახურებას დასაქმებულისაგან.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთვებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

წინასწარ გადახდები

წინასწარ გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი შევა ჯგუფში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის ნიშნები იმისა, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, ანაზღაურებები, ანაზღაურებადი წლიური შვებულებები და ბიულეტენები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღირიცხება წლის განმავლობაში, როდესაც დაკავშირებული სერვისები გაწეულია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს ბანკში, რომელიც ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

საწესდებო კაპიტალი

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის მოცულობა და მისი ცვლილებები განისაზღვრება კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი წარმოიქმნება საქონლისა და მომსახურების კლიენტისათვის გადაცემისას, რომლის გადახდის ვალდებულება ჯგუფს წარმოექმნება არა უგვიანეს ოპერაციის განხორციელების თვის მომდევნო თვის თხუთმეტი რიცხვისა. გადასახდელი დღგ მცირდება ჩასათვლელი (გადასახადის გადამხდელის უფლება შეიმციროს გადასახადები) დღგ-ს თანხებით ჩათვლის დოკუმენტის არსებობის პირობებში. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ კომპანიებს ერთმანეთში გაქვითონ დღგ-ს გადასახდელი და ჩასათვლელი თანხები. გაყიდვასთან ან შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხებით. როდესაც მოსალოდნელია დებიტორული დავალიანების გაუფასურება, გაუფასურების ხარჯი აღირიცხება ბრუტო თანხით, დღგ-ს ჩათვლით.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებენ ან კონტროლდებიან, ან არიან საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანიები (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

(ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

(გ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

(დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

(ე) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

(ვ) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

(ზ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსურ ანგარიშგებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს გარკვეულმა მოვლენებმა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხდება. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლებში, საზოგადოდ, განსაზღვრულია ორი ტიპის მოვლენა:

ა) მაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) არსებულ პირობებზე; და

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ფინანსური ანგარიშგების თარიღის (ფინანსური ანგარიშგებით მოცული ბოლო საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღი) შემდგომ პერიოდში.

3. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდეგი ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შევიდა ძალაში 2023 წლის 1 იანვრიდან:

- ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).
- შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- გადასვლის ოფციონი მზღვევებებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

3. ახალი და გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

- ბასს 8-ში შესწორებები: საადრიცხო შეფასებების განსაზღვრა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ).
- გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ბასს 12 „მოგების გადასახადები“- შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისი).

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც ჯგუფს ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

- შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).
- ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შესვლის თარიღი არ არის ცნობილი)

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი საადრიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს ფინანსური აქტივების მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვლებადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია ჯგუფის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხედრად კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ ჯგუფის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

მარაგების გაუფასურება

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, ჯგუფი იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს.

მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, ჯგუფი აფასებს დამკველბული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

შპს „ჭრელი აბანო“ და მისი შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	მიწა	შენობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატრანსპორტო საშუალება	სულ	არამატერიალური აქტივები
ისტორიული ღირებულება								
31 დეკემბერი 2021	3,804,000	5,824,414	598,591	153,292	812,905	25,058	11,218,260	280,624
შემოსვლა	-	-	62,564	23,695	1,577,324	-	1,663,583	-
გასვლა	-	-	(22,072)	(25,776)	-	-	(47,848)	-
31 დეკემბერი 2022	3,804,000	5,824,414	639,083	151,211	2,390,229	25,058	12,833,995	280,624
შემოსვლა	-	-	48,592	156,386	1,572,690	-	1,777,668	-
ტრანსფერი	-	3,962,919	-	-	(3,962,919)	-	-	-
გასვლა	-	-	(6,801)	(4,897)	-	-	(11,698)	-
31 დეკემბერი 2023	3,804,000	9,787,333	680,874	302,700	-	25,058	14,599,965	280,624
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი 2021	-	590,388	181,113	63,605	-	1,193	836,299	159,614
ცვეთის ხარჯი	-	121,476	53,470	18,740	-	3,580	197,266	14,720
გასვლა	-	-	(13,410)	(15,192)	-	-	(28,602)	-
31 დეკემბერი 2022	-	711,864	221,173	67,153	-	4,773	1,004,963	174,334
ცვეთის ხარჯი	-	153,136	53,286	24,003	-	3,580	234,005	14,720
გასვლა	-	-	(1,227)	(2,303)	-	-	(3,530)	-
31 დეკემბერი 2023	-	865,000	273,232	88,853	-	8,353	1,235,438	189,054
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2022	3,804,000	5,112,550	417,910	84,058	2,390,229	20,285	11,829,032	106,290
31 დეკემბერი 2023	3,804,000	8,922,333	407,642	213,847	-	16,705	13,364,527	91,570

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ბალანსზე არსებული სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ღირებულებამ შეადგინა 31,380 ლარი, (2022 წელს - 24,488 ლარი). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებები არ იყო დატვირთული სესხის უზრუნველსაყოფად.

7. აქტივი გამოყენების უფლებით

ჯგუფის აქტივები გამოყენების უფლებით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

თვითღირებულება	მიწა	შენობა	სულ
31 დეკემბერი 2021	157,549	81,467	239,016
შემოსვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	157,549	81,467	239,016
შემოსვლა	-	22,803	22,803
31 დეკემბერი 2023	157,549	104,270	261,829
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2021	(56,730)	(49,940)	(106,670)
ცვეთის ხარჯი	(18,910)	(19,943)	(38,853)
31 დეკემბერი 2022	(75,640)	(69,883)	(145,523)
ცვეთის ხარჯი	(18,910)	(21,076)	(39,986)
31 დეკემბერი 2023	(94,550)	(90,959)	(185,509)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2022	81,909	11,584	93,493
31 დეკემბერი 2023	62,999	13,311	76,310

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გადახდილი ავანსები	20,335	485,480
მოთხოვნები კლიენტების მიმართ	18,410	11,595
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	38,745	497,075

9. მარაგები

ჯგუფის მარაგები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ჰიგიენური საშუალებები	148,058	72,632
საკვები და სასმელი	13,320	12,954
საწვავი	806	1,781
სულ მარაგები	162,184	87,367

10. საგადასახადო ვალდებულება წმინდა

ჯგუფის 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია საგადასახადო ვალდებულება 71,048 და 33,116 ლარის ოდენობით შესაბამისად, რომელიც ძირითადად მოიცავს დღგ-ს და ქონების გადასახადის თანხებს.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	231,171	978,104
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	36,985	10,024
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	4,599	8,711
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	272,755	996,839

12. კაპიტალი

ჯგუფში 2016 წლის 1 იანვრამდე ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისთვის, დამფუძნებლების მიერ თანხების შეტანა ხორციელდებოდა სესხის სახით, რომელიც შემდეგ დარიცხულ პროცენტთან ერთად 2013 წლის 23 დეკემბერს დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით შევიდა კაპიტალში.

2018 წლის 30 აპრილის შპს „ჭრელი აბანოს“ პარტნიორთა კრების ოქმის მიხედვით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოხდეს საწესდებო კაპიტალის მთლიანი შემცირება (განულება) ეტაპობრივად. 2023 წლის განმავლობაში კაპიტალი შემცირდა 1,591,578 ლარით.

13. მიღებული სესხები

ორგანიზაცია	ვალუტა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
დაფუძნებლებისგან მიღებული სესხები**	USD	-	472,843
შპს პსკ ფარმა	USD	-	472,850
სულ მიღებული სესხები		-	945,693

** 2021 წლის განმავლობაში საოპერაციო საქმიანობის ხელშესაწყობად ჯგუფმა მიიღო მოკლევადიანი სესხები შემდეგი დაკავშირებული მხარეებისაგან: შპს ჩემექსიმ ინტერნეშენალი და მანანა ციხელაშვილი. ყველა სესხი იყო უპროცენტო. 2022 წლის ბოლოს მოცემული მოკლევადიანი სესხების საბალანსო ღირებულება შეადგენდა შემდეგ თანხას - 472,843, 2022 წელს არ მომხდარა არანაირი მოძრაობა ამ სესხებთან დაკავშირებით. ჯგუფმა აღნიშნული სესხები დაფარა 2023 წელს.

ჯგუფმა 2021 წელს მიიღო 0 % - იანი სესხები შპს პსკ ფარმასგან რომლის დაფარვა მოხდა 2023 წელს.

ზემოთ მოცემული სესხები არ იყო უზრუნველყოფით დატვირთული.

სესხების რეკონსილაცია 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
	ეროვნული ვალუტა	ეროვნული ვალუტა
1 იანვარი	945,693	1,697,090
საპროცენტო ხარჯი	-	17,798
გადახდილი პროცენტი	-	(37,997)
სესხის ძირის დაფარვა	(927,153)	(557,630)
საკურსო სხვაობის გავლენა	(18,540)	(173,568)
31 დეკემბერი	-	945,693

13. მიღებული სესხები (გაგრძელება)

	2023	2022
	უცხოური ვალუტა	უცხოური ვალუტა
1 იანვარი	351,735	547,872
საპროცენტო ხარჯი	-	5,737
გადახდილი პროცენტი	-	(12,474)
სესხის ძირის დაფარვა	(351,735)	(189,400)
31 დეკემბერი	-	351,735

14. სავაჭრო ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	276,909	266,780
გადასახდელი დივიდენდები	5,358	30,009
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	282,267	296,789

15. ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულება

ჯგუფის ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულება	2023	2022
1 იანვარი	155,319	190,520
დამატებები წლის განმავლობაში	22,803	-
საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	16,118	18,102
გადახდები წლის განმავლობაში	(35,388)	(49,997)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	(122)	(3,306)
31 დეკემბერი	158,730	155,319

16. ამონაგები

ჯგუფის ამონაგები 2023 და 2022 წლებში შეადგენს:

	2023	2022
შემოსავალი ნომრებიდან	4,927,905	3,802,150
შემოსავალი სასმელებიდან და საკვებიდან	460,435	471,291
შემოსავალი ჰიგიენური საშუალებებიდან	248,207	235,425
შემოსავალი იჯარიდან	38,765	17,170
სხვა საოპერაციო შემოსავალი	294,534	266,147
სულ ამონაგები	5,969,846	4,792,183

17. რეალიზაციის ღირებულება

ჯგუფის რეალიზებული მომსახურების ღირებულება 2023 და 2022 წლებში შეადგენს:

	2023	2022
ხელფასის ხარჯი	784,712	528,300
კომუნალური ხარჯები	302,760	271,035
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	245,074	204,604
ჰიგიენური საშუალებების ხარჯები	231,635	230,227
საკვები და სასმელი	75,247	71,572
სამეურნეო ხარჯები	62,601	55,287
იჯარის ხარჯი	5,315	5,361
სხვა ხარჯები	86,560	44,433
სულ რეალიზაციის ღირებულება	1,793,904	1,410,819

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

ჯგუფის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2023 და 2022 წლებში შეადგენს:

	2023	2022
შრომის ანაზღაურების ხარჯი	342,061	285,104
რემონტი	312,511	94,533
მსახურების ხარჯი	100,050	54,311
ბანკის მომსახურების საკომისიო	95,526	68,586
საგადასახადო ხარჯი	87,408	73,469
რეკლამის ხარჯი	62,714	63,985
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	43,637	46,235
წარმომადგენლობითი ხარჯები	20,010	7,729
კომუნალური გადასახადები	9,652	7,341
საოფისე ხარჯი	7,456	6,589
სანოტარიო მომსახურების ხარჯი	1,580	283
სხვა ხარჯები	104,783	28,528
სულ საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	1,187,388	736,693

19. საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა

ჯგუფის საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა 2023 და 2022 წლებში შეადგენს:

	2023	2022
ფული და ფულის ეკვივალენტები	(979)	(33,756)
მიღებული სესხები	18,540	173,568
სავაჭრო ვალდებულებები	104	(2,407)
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	355	20
ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულება	122	3,306
სულ საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა	18,142	140,731

20. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2018 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

მოგების გადასახადი 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენდა: 15,007 (2022 წელი - 14,152)

21. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს.

ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც ჯგუფი საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების აღრიცხვის დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და ჯგუფის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება. (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არ არსებობს შესაბამისი რეზერვი).

22. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკი მოიცავს **საბაზრო რისკს** (რომელშიც შედის: სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის და ფასების რისკი), **საკრედიტო რისკი** და **ლიკვიდობის რისკი**. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანა და მიზანია რისკის ლიმიტების დადგენა და უზრუნველყოფა რომ რისკების ზემოქმედება დარჩეს მოცემულ ლიმიტებში.

საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,410	11,595
ფული და ფულის ეკვივალენტები	235,770	986,815
სულ ფინანსური აქტივები	254,180	998,410

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების ჯგუფის დონეზე მართვით.

ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

22. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ 2023 წლის მიმართ საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს:

31 დეკემბერი 2023			
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	3,882	13,913	(10,081)
ევრო	767	-	767
სულ	4,598	13,913	(9,315)

31 დეკემბერი 2022			
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	8,230	987,327	(979,097)
ევრო	481	-	481
სულ	8,711	987,327	(978,616)

გავლენა მოგება-ზარალზე	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	1,008	97,910
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	(1,008)	(97,910)
ევროს გამყარება 10%-ით	(77)	(48)
ევროს გაუფასურება 10%-ით	77	48

ლიკვიდურობის რისკი - წარმოადგენს რისკს რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულებების გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემული ცხრილში მოყვანილია ჯგუფის ვალდებულებები 2023 წლის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით.

თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

31 დეკემბერი 2023	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,140	-	18,140
ფული და ფულის ეკვივალენტები	272,755	-	272,755
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(282,267)	-	(282,267)
ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულება	(34,763)	(123,967)	(158,730)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(317,030)	(123,967)	(440,997)

22. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2022	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,595	-	11,595
ფული და ფულის ეკვივალენტები	996,839	-	996,839
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(296,789)	-	(296,789)
ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულება	(22,130)	(133,189)	(155,319)
მიღებული სესხი	(945,693)	-	(945,693)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(256,178)	(133,189)	(389,367)

23. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა. აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომლის მიღებაც შეუძლია ჯგუფს, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

ჯგუფის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები:	291,165	291,165	1,008,434	1,008,434
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18,410	18,410	11,595	11,595
ფული და ფულის ეკვივალენტები	272,755	272,755	996,839	996,839
ფინანსური ვალდებულებები:	440,997	440,997	1,397,801	1,397,801
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	282,267	282,267	296,789	296,789
ფინანსური იჯარიდან წარმოქმნილი ვალდებულება	158,730	158,730	155,319	155,319
მიღებული სესხები	-	-	945,693	945,693

24. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

24. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები (გაგრძელება)

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული.

მოკლევადიანი სესხები	ურთიერთობის სახე	2023	2022
შპს ჩემექსიმ ინტერნეშენალი	მფლობელი	-	330,949
მანანა ციხელაშვილი	მფლობელი	-	156,230

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2023 წელს შეადგინა 115,430 ლარი (2022: 104,982 ლარი).

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ჯგუფმა გასცა 1,064,250 ლარის დივიდენდი გადასახადების ჩათვლით.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 28 ივნისს.



შპს ჭრელი აბანო
მმართველობითი ანგარიშგება

2023 წელი

1.	ზოგადი ინფორმაცია	31
2.	კომპანიის მართვა და კადრები	32
3.	ჯგუფის საქმიანობა	32
4.	შერწყმა	33
5.	ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლები	33
6.	რისკები	34
7.	სამომავლო გეგმები	35

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჭრელი აბანო“ (შემდგომში - „ჯგუფი“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2008 წლის 5 მაისს დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, აბანოს ქ. №2. ჯგუფის 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მის 50%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანიის შპს „გოგირდის წყლების“ (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“) ფინანსურ ანგარიშგებებს.

ჯგუფი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას: აბანოების მოწყობა, მოსახლეობისათვის სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მომსახურეობის გაწევა, თერმული წყლების გაყიდვა.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
თეიმურაზ მამაცაშვილი	50%	50%
შპს რეალ ისთეით გრუპ	25%	25%
შპს „ჩემექსიმ ინტერნიშენალ“	10%	10%
მანანა ციხელაშვილი	15%	15%
	100%	100%

2. ჯგუფის მართვა და კადრები

პარტნიორთა კრება - შპს ჭრელ აბანოში ტარდება სულ ცოტა წელიწადში ორჯერ (საჭიროებისამებრ, ან მოთხოვნის შესაბამისად). პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის სამომავლო განვითარების სტრატეგიასა და მოგების განაწილებაზე.

დირექტორი - ინიშნება კომპანიის პარტნიორების მიერ და ახორციელებს კომპანიის მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობას.

პერსონალი - აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. კომპანიაში დასაქმებული თითქმის ყველა კადრი არის უმაღლესი განათლებით. კომპანიაში მუშაობს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების გუნდი, რაც ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის საფუძველია. ამასთან, კომპანიის თითოეული თანამშრომელი წელიწადში სულ მცირე ორჯერ გადიან გადამზადებას შესაბამის სფეროში, რომელიც ჩვენი კომპანიის განვითარებას და გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს მომავალში. (მაგ: ბოლო ერთი წლის განმავლობაში კომპანიის თანამშრომლებმა გაიარეს ადმინისტრაციის პროპორციულად მენეჯმენტის, სერვის პოლიუს სტანდარტების, საბუღალტრო და ტოპ მენეჯმენტის კურსები)

3. ჯგუფის საქმიანობა

შპს ჭრელი აბანოს გუნდი წარმოადგენს ბანლეოლოგიურ გამაჯანსაღებელ მიმართულებას ჩვენი ძირითადი მომსახურების სფერო არის ველნესი და სპა. მთავარი პროდუქტი არის გოგირდის წყლის თერმული აბაზანები, ასევე გვაქვს სპა მასაჟები და გამაჯანსაღებელი პროცედურები. შპს ჭრელი აბანო ფუნქციონირებს 2017 წლის სექტემბრიდან დღემდე და განვლილი წლების მანძილზე მუდმივად ვითარდება და ქმნის ჯანსაღ პროდუქტს.

4. შერწყმა


შპს ჭრელ აბანოს 2008 წლის 5 მაისს შეერწყა შპს „თბილისის გოგირდის აბანო“.

5. ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლები

2023 წელს ჯგუფის შემოსავალი შეადგენდა 5,969,846 ლარს, რაც 25%-იან ზრდას წარმოადგენს 2022 წელთან შედარებით. 2023 წელს წმინდა მოგებამ შეადგინა 2,967,402 ლარი.

	2023	2022
ამონაგები	5,969,846	4,792,183
რეალიზებული მომსახურების ღირებულება	(1,793,904)	(1,410,819)
საერთო მოგება	4,175,942	3,381,364
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,187,388)	(736,693)
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	18,142	140,731
ფინანსური ხარჯი	(16,118)	(35,900)
დივიდენდები	-	-
არასაოპერაციო შემოსავალი	-	-
არასაოპერაციო ხარჯი	(8,168)	(19,438)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	2,982,409	2,730,064
მოგების გადასახადი	(15,007)	(14,152)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)	2,967,402	2,715,912
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	2,967,402	2,715,912

კომპანიის მიერ მიღებული შემოსავლები ბოლო ორის წლის განმავლობაში (წითელი ნაწილი ასახავს 2022 წლის შემოსავლებს, ხოლო ლურჯი ნაწილი - 2023 წლის შესაბამისად:



ქვემოთ მოცემულია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები :

ფინანსური კოეფიციენტები	2023	2022
მიმდინარე აქტივები	473,684	1,581,281
მიმდინარე ვალდებულებები	388,078	1,297,728
საბრუნავი კაპიტალი (WC)	85,606	283,553

6. რისკები

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია აქვს შემდეგ ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, კომპანია ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საფასო რისკების მინიმიზაცია ყველა სახის ტრანზაქციებზე;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

საკრედიტო რისკი

- კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა. კომპანიის ყველაზე დიდი დებიტორია სს თბს ბანკი.

7. სამომავლო გეგმები

ჯგუფის მიზანია ხარისხიანი აბანოების მოწყობა და მოსახლეობისათვის სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მომსახურების გაწევა. ჯგუფი განაგრძობს სტაბილურ ზრდას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და შესაბამისი დანადგარების შეძენას ასევე კვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფას.

თეიმურაზ მამაცაშვილი

დირექტორი

ევგენია დიაჩენკო


მთავარი ბუღალტერი

7. სამომავლო გეგმები

ჯგუფის მიზანია ხარისხიანი აბანოების მოწყობა და მოსახლეობისათვის სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მომსახურების გაწევა. ჯგუფი განაგრძობს სტაბილურ ზრდას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და შესაბამისი დანადგარების შეძენას ასევე კვალიფიკური პერსონალით უზრუნველყოფას.

თეიმურაზ მამაცაშვილი გვინია დიაჩენკო

დირექტორი მთავარი ბუღალტერი